

განვლო საინტერესო შრომითი გზა რიგითი მუშიდან ფოლადსადნობი საამქროს უფროსობამდე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების დირექტორობამდე. რმკ-ის მარტენის საამქროს ხელმძღვანელობისას ჩატარებული მეცნიერული კვლევებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე პირველად მსოფლიო მეტალურგიაში შემუშავებულ იქნა და წარმატებით დაინერგა ნავთობისა და გაზის მოსაპოვებელი სამილე ფოლადების გამოდნობის, განჟანგვისა და უწყვეტი რადიალური ჩამოსხმის შესაბამისი ტექნოლოგიები, რაც საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო დისერტაციას.

გასაოცარია ბატონი გურამის მეცნიერული შემართება და „მოუსვენარი ხელმარჯეობა“. მან, როგორც მეცნიერმა და უბადლო მენეჯერმა, ხელი დაატყო და წინ წასწია ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების ხარისხობრივი ზრდა. კერძოდ, მეტალურგიული დარგის სამეცნიერო ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერების, საკუთარი კვლევების, პირადი გამოცდილების, გამოგონებებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე შეძლო ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი, დასავლეთ საქართველოს გარემოს დამაბინძურებელი, გაჩერების ზღვარზე მისული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აკადემიურ დონეზე აყვანა-ამუშავება, შემდგომ კი რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიურ-სოციალური მაჩვენებლებით დარგის თანამედროვე, მოწინავე უნარჩენო პროდუქციის საწარმოებად გადაიარაღება და ტექნოლოგიურად „მსოფლიო რადიუსით“ გამართვა.

დროის მოთხოვნის შესაბამისად რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მეცნიერულად და ტექნოლოგიურად ამ შრომატევადი და კარდინალური პრობლემების გადასაწყვეტად ბატონმა გურამმა სრულიად ახალი ელექტროფოლადსადნობი საამქროს ასაშენებლად განაზრახა საქმედ აქცია - მისმა მეცნიერულ-გამომგონებლურმა გონებამ მარტენის საამქროში მსოფლიოში პირველად შეძლო საჩამოსხმო ციკხვის ზვრელიდან ფოლადის ინერტული აირებითა და წიდაწარმოშენი რეაგენტებით ლუმელგარე გაქრევა-რაფინირების ტექნოლოგიის წარმატებით განხორციელება-დანერგვა.

სწორედ ზემონახსენები ტექნიკურ-ტექნოლოგიური გათვლები, მეცნიერული კვლევები დაედო საფუძვლად გურამ ქაშაკაშვილის საღოტლო დისერტაციას, რომელიც წარმატებით დაიცვა მოსკოვში, საქვეყნოდ ცნობილ ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ბატონი გურამი დღემდე აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სამიტების მუშაობაში (თბილისი, ბათუმი, მოსკოვი, დელი, პარიზი, ლონდონი, პეკინი, დიუსელდორფი, ბერლინი, ვენა, სანკტ-პეტერბურგი, კიევი). წელს იგი ასეთ სამეცნიერო ფორუმზე საქართველოში (ქ. ბათუმი) და ავსტრიაშიც (ქ. ვენა) იყო მიწვეული.

საერთაშორისო მასშტაბით უცხოელთაგან გამოგონებებისა და აღმოჩენების აღიარება, მით უფრო მეცნიერისა ახალფეხადგმული საქართველოს სახელმწიფოდან, არც ისე ადვილი გახლავთ. საკონკურსო და სამეცნიერო სარბიელზე გაჯიბრების მომენტში ბევრი მის ადგილას, ალბათ, ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ ბატონი გურამის პიროვნულმა „მე“-მ, შინაგანმა, მეტალურგიის დაუცხრომელმა ფოლადურმა ციკხ-

ლგამძლე ბუნებამ სწორედ აქ იჩინა თავი...

მაგალითად, ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენილი, პრაქტიკულად შეჯერებული ნაკვლევი, რომელმაც მრავალი ქვეყნის მეცნიერების დიდი ინტერესი გამოიწვია, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში (პირველად მსოფლიო პრაქტიკაში!) გამართულ წარმატებულ საწარმოო მეცნიერულ კვლევებს - ფოლადის დნობის პროცესების ჩატარებას - ლითონის გამოსაშვები ზვრელიდან ბუნებრივი აირის, ჰაერის ან ჟანგბადის ნარევის შებერვით ყველაზე მძიმე შრომატევადი პროცესის - ფოლადის გამოსაშვები ზვრელის დაკეტვისა და გახსნის ოპერაციას, ადამიანის ფიზიკური შრომის გარეშე განხორციელებას ეხებოდა.

გ. ქაშაკაშვილმა საჭიროდ ჩათვალა, რომ ეს მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაშიც წარედგინა, ავტორის წარმატებით ჩატარებული კვლევები, მისივე ჯერ დაუკანონებელი, მეცნიერული აღმოჩენების სრულიად ახალ კანონზომიერებაზე იყო დაფუძნებული.

სამწუხაროდ, მოხსენება არ იქნა ისეთი ინტერესით მიღებული და აღქმული, როგორსაც ის იმსახურებდა. საკითხის მნიშვნელობასა და ორიგინალობაში ღრმად დარწმუნებულმა ავტორმა, სათანადო ინსტრუქციის თანახმად, ახალი მეცნიერული აღმოჩენების კანონზომიერებაზე დამყარებული პროცესების თაობაზე (რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავდაყირა აყენებს დღემდე არსებულ კანონზომიერებას - დამყარებულს ფოლადის დნობის მხოლოდ გაუნახშირბადიანობის პროცესზე) შეავსო განაცხადი. ფოლადის დნობისას ლითონის გამოსაშვები ზვრელიდან ბუნებრივი აირის, ჰაერის ან ჟანგბადის ნარევით შებერვით ბატონმა გურამმა აღმოაჩინა მეცნიერული კანონზომიერებანი (კერძოდ, როგორც აღმოჩნდა და გაირკვა, გაუნახშირბადიანობასთან ერთად მიმდინარეობს ფოლადის დანახშირბადიანება, რომელიც ლითონის ტემპერატურაზე და შესაბერი ჰაერის და ბუნებრივი აირის რაოდენობის თანაფარდობაზეა დამოკიდებული). გამოგონებისა და მეცნიერული აღმოჩენების საერთაშორისო აკადემიამ განაცხადი რეგისტრაციაში გაატარა და ერთი წლის განმავლობაში უმაღლესი რეიტინგის მქონე მეცნიერ-ქიმიკოსთა და მეტალურგთა საფუძვლიანი შესწავლისა და გ. ქაშაკაშვილთან სამრატუნდინი დავის შემდეგ 2010 წლის თებერვალში გურამ და ირაკლი ქაშაკაშვილების სახელზე გაიცა მეცნიერული აღმოჩენის პირველი დიპლომი, ხოლო 2011 წელს კი - მეორე მეცნიერული აღმოჩენის დიპლომი. ბრძნული ანდაზების არ იყოს, „Нет худа без добра“, ან „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“, „То что не делается, всё к лучшему“. ისე გამოვიდა, რომ ყურადღების მიღმა დარჩენილი მოხსენება ქვეყნის მასშტაბით ტექნიკურ დარგში ორი აღმოჩენის (პირველების !!!) წინაპირობა გახდა.

ამრიგად, აღნიშნული მეცნიერული სიახლის ავტორი გურამ ქაშაკაშვილი, მას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა ხელს არ უშლიდა ამ პროექტის განხორციელებაში, მაგრამ ქარხნის მთავარმა ფოლადის მდნობელმა გრანდ კირაკოზოვმა მოსკოვში, მიღების წარმოების მთავარ სამმართველოში, დარეკა და... წამოვიდა მკაცრი, გამაფრთხილებელი სატელეფონო ზართა „ნიადვარი“ ექსპერიმენტის კატეგორიულად აკრძალვისა.

ბატონმა გურამმა სახელგანთქმულ ობერმასტერს ვაჟა გოგებერიას სთხოვა, შინ კარგად მოსვენების შემდეგ, ღამის

ცვლაში გამოსულიყო და ჩაფიქრებული ექსპერიმენტი გან-
ეხორციელებინათ, რომლისათვის საჭირო შესაბერი ქმინი,
რომელიც, ბატონი გურამის გათვლებით, საამქროს უფროს-
მა, თბოტექნიკოსმა ალექსანდრე ნოზაძემ, ყველა ზომების
დაცვით, გაამზადა და ღუმლის გარეთ გამოცადა კიდეც.

ლამის 12 საათზე მარტენის პირველი ღუმლიდან დაიწყო
თუ არა დნობა, ობერმასტერმა **ვაჟა გოგიბერიამ**, უფროსმა
თბოტექნიკოსმა **ალექსანდრე ნოზაძემ**, ოსტატმა **ირაკლი ქა-
შაკაშვილმა**, ბატონი გურამის ხელმძღვანელობით, დაიწყეს
ექსპერიმენტის განხორციელება, რისთვისაც წინასწარ
დამზადებული შესაბერი ინსტრუმენტი მარტენის ღუმლის
ხვრელში მოათავსეს, ჩართეს ბუნებრივი აირი და დაწ-
ეხილი ჰაერი სისტემაში და მძლავრი ჩირაღდნით მოგუ-
გუნე ქმინი ფოლადის გამოსაშვებ ხვრელში მაგნეზიტის
ფხვნილით ჩატკენეს. დნობის სხვა პროცესები - ღუმლის
გაწყობა, ჯართის ჩატვირთვა, თუჯის ჩასხმა... ჩვეულებრი-
ვად წარიმართა, მაგრამ ხვრელიდან შებერილმა ბუნებრივი
აირისა და ჰაერის ჩირაღდანმა ისეთი ძლიერი მოძრავი
ნაკადები შექმნა, რომ პროცესი ჯერარნახული ძლიერი
დატვირთვით დაიძრა, მაგრამ ლაბორატორიიდან მოსული
ანალიზებით ნახშირბადის შემცველობა არ იცვლებოდა და
პერიოდებში უმნიშვნელოდ მატულობდა. ლითონის ტემ-
პერატურის გაზომვის შემდეგ **ირაკლი ქაშაკაშვილმა** გასცა
განკარგულება ლითონის გაშვებაზე, რომელიც მეფოლადეთა
ხელით შრომის გარეშე, საჩამოსხმო ამწის შესაბერი ქმინის
გაბოლებით განხორციელდა. დნობა ნორმალურად წარიმა-
რთა, მაგრამ მაღალი ნახშირბადის გამო, 45 მარკის ნაცვლად
D მარკის ფოლადად დაინიშნა. მაშინ არავის უფიქრია ასეთი
მეცნიერული აღმოჩენის კანონზომიერებაზე. გამოვონების
კომიტეტმა საავტორო უფლება გასცა ბატონ გურამსა და
სხვა ავტორებზე. **გურამ და ირაკლი ქაშაკაშვილები** ინსტი-
ტუტში ლექციების კითხვის დროს კვლავ დაუბრუნდნენ
რმკ-ში მსოფლიოში პირველად განხორციელებულ დნობას
ფოლადგამოსაშვები ხვრელიდან და იქ მიმდინარე პრო-
ცესების ახსნას ფოლადსადნობი პასპორტის ჩანაწერებიდან
და ღრმად შესწავლისა და ანალიზის შემდეგ აღმოაჩინეს
ახალი კანონზომიერებები ფოლადის დანახშირბადიანება,
რისთვისაც გააანალიზეს რუსეთის (ურენგოის, სარატო-
ვის, დასავლეთ ციმბირის, ჩრდილო კავკასიის და სხვ.),
უკრაინის, აზერბაიჯანის, ირანისა და სხვა ბევრი საბადოსა
თუ აირსადენის ბუნებრივი აირის ქიმიური შედგენილობები
და ნახშირბადის ჯამური შემცველობები. როგორც ცნო-
ბილია, სხვადასხვა საბადოსა თუ აირსადენის ბუნებრივ
აირში განსხვავებულია ნახშირბადის ჯამური შემცველობა,
რომელზეც დამოკიდებულია, ძირითადად, დნობის უახლეს
პროცესში ფოლადის დანახშირბადიანების ხარისხი. ეს უკვე
მესამე მეცნიერული აღმოჩენის კანონზომიერება გახლავთ,
რომლის განაცხადი ბატონმა გურამმა და ბატონმა ირაკლი
ქაშაკაშვილებმა აღმოჩენათა და გამოვონებათა ავტორების
საერთაშორისო აკადემიას მიმდინარე წლის ივლისში გაუგ-
ზავენ და ჯერჯერობით განხილვის ფაზაშია.

აღნიშნული მეცნიერული აღმოჩენებისა და რუსთავის
მეტალურგიულ ქარხანაში განხორციელებული წარ-
მატებული სამეცნიერო კვლევების, ექსპერიმენტების
საფუძველზე, **გურამ ქაშაკაშვილმა** (ბატონ **ირაკლისთან** ერ-
თად) შექმნა ახალი ფოლადსადნობი აგრეგატი, სადაც კაზმის
ჩატვირთვა, ლითონის დნობა, დაყვანა, დუღილი, განჟავვა,

ლევირება, ინერტული აირებითა და რეაგენტებით ფოლადის
დამუშავება ერთ მოდერნიზირებულ ციკს-ლუმელში ერთ-
დროულად მიმდინარეობს, ზემოდან - ელექტროდებს შო-
რის ელექტრული რკალისა და ქვემოდან - საჩამოსხმოში
ციცხვის ერთი შიბერიდან ბუნებრივი აირის ჰაერის ან ჟანგ-
ბადის ნარევისაგან წარმოქმნილი მძლავრი ჩირაღდანის მეშ-
ვეობით, ხოლო გადნობის შემდეგ - მეორე შიბერიდან გან-
ჟავვა ინერტული აირებითა და რეაგენტებით მზა ფოლადის
დამუშავების შემდეგ - ამავე შიბერით ხდება ფოლადის ჩა-
მოსხმა უწყვეტი ჩამოსხმის მანქანაზე.

გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული აღმოჩენების
საფუძველზე შექმნილი აგრეგატი და ფოლადის წარმოების
ტექნოლოგიური ხაზი, (რომლის პატენტი გასცა „როსპატ-
ენტმა“ და დაადასტურა შვეიცარიის სათანადო საპატენტო
ორგანიზაციამ, მისი ჩინურ და გერმანულ ენებზე თარგმნით)
ფოლადის წარმოებაში რევოლუციური სიახლეა. იმის გამო,
რომ საწარმოო ციკლიდან ამოღებულია ფოლადის დნობის
ძირითადი აგრეგატი ღუმელი, ლითონის ხვრელიდან გამოშ-
ვება და ყველა პროცესი კაზმის ჩატვირთვა, დნობა, დაყვანა,
განჟავვა და ლითონის ინერტული აირების დამუშავება ხდება
ერთ აგრეგატში - ლითონს ასურებენ მხოლოდ ოპტიმალურ
ტემპერატურამდე ყოველგვარი გადასურების გარეშე, რაც
ზრდის ფოლადის წარმოებას, საგრძნობლად აუმჯობესებს
მის ხარისხს, იძლევა პირობითი სათბობის, ელექტროენ-
ერგიის, განმჟანგველებისა და ციკსლამპმდე მასალების
ეკონომიას და, რაც მთავარია, ეკოლოგიური და ეკონომიური
მაჩვენებლების საგრძნობ გაუმჯობესებას.

მეცნიერული აღმოჩენების ახალი კანონზომიერებისა და
ამ აღმოჩენების საფუძველზე ახალი კონსტრუქციის ფოლად-
სადნობი აგრეგატის (სადაც მიმდინარეობს ფოლადის დნო-
ბის ყველა ოპერაცია - ჩატვირთვიდან ჩამოსხმამდე ლითონის
გამოსაშვები ხვრელის დაკეტვის და გახსნის მიმე ხელით
შრომის და ლითონის ღუმლიდან გამოშვების პროცესების
ლიკვიდაცია) შექმნის გამო, გურამ ქაშაკაშვილი შარშან
მოსხენებით მიწვეულ იქნა მეტალურგთა საერთაშორისო
კონფერენციაზე, ბერლინში, ხოლო, ამავე მიზეზით, მიმდინ-
არე, 2012 წლის სექტემბერში - ვენაში. ორივე კონფერენ-
ციაზე მაღალი შეფასება მიაკუთვნეს ფოლადის წარმოებასა
და რაფინირების ახალ ხაზს. ახლა მიმდინარეობს მოლა-
პარაკებები ფოლადის მწარმოებელ მძლავრ კომპანიებთან
აღნიშნული დაპატენტებული ტექნოლოგიის ლიცენზიების
შეძენაზე.

საქართველოში სულ ექვსი სამეცნიერო აღმოჩენაა. აქედან
ორი - ივანე ბერიტაშვილის სკოლისა, ორი - სიმონ ხეჩინაშ-
ვილისა, მე-5 და მე-6 სამეცნიერო აღმოჩენები - **პირველი ტე-
ქნოლოგიურ დარგში - გურამ ქაშაკაშვილისა.** საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ახალი კანონზომიერე-
ბით სამეცნიერო აღმოჩენების მეკვლეა, რადგან საქართვე-
ლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ტექნიკური უნი-
ვერსიტეტის 90 წლის ისტორიის მანძილზე არც ერთ მეც-
ნიერს სამეცნიერო აღმოჩენის დიპლომი არ დაუმსახურებია.

ბატონი გურამისა და ირაკლი ქაშაკაშვილების სამეცნი-
ერო ოფისის კედლებს 98 გამოვონებათა დამადასტურებე-
ლი სიგელი, მოწმობა და დიპლომი ამშვენებს. გარდა ამისა,
ორივე - მეტალურგი ტერმინოლოგ-ტერმინშემოქმედი და
ლექსიკოგრაფიც გახლავთ.

რაოდენ სასიხარულოა, რომ მსოფლიოში პირველად

მათი უშუალო მონაწილეობითა და წამოწვევით, გულმოდგინე მეცადინეობით, „მეტალურგიულ სამყაროს“ მოველინა ლექსიკოგრაფიული ნაშრომი - „მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი - ლითონმცოდნეობისა და ტექნიკური ტერმინოლოგიის „სიტყვის კონის“ ორტომეული (თითოეული ტომი ათას გვერდს აღწევს: ტ. 1 - 904, ტ. 2. - 999, ფორმატი A-4 კომპაქტდისკითურთ) [3], რომელსაც არაერთი გამოხმაურება და სასიძოპოზიუმოდ გამოხსული რეცენზია მიეძღვნა [4], [5]. ორტომეულის ორივე ტომის ანოტაცია გვამცნობს, რომ იგი შეიცავს 18560 მეტალურგიულ ტერმინს ქართულ ენაზე, ახლავს შესატყვისები რუსულ, უკრაინულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ამრიგად, ლექსიკონი ექვესწოვანია, ეძღვნება ცნობილი მეტალურგი პროფესორების საქართველოში მძიმე მრეწველობის დარგის წარმოების, ქართული ტექნიკური და მეტალურგიული ტერმინოლოგიის ფუძემდებლების **გიორგი ნიკოლაძისა და ნიკოლოზ ქაშაკაშვილის** 125 წლის იუბილეს.

ამ დიდი საშვილიშვილო საქმით ბატონი გურამი საკუთარ იუბილესაც წარუდგა - ამაზე დიდი საჩუქარი და ძღვენი საკუთარი თავისთვის ზომ მართლაც წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ ამ ორტომეულმა 2012 წელს ეროვნული პრემია დაიმსახურა (თანავტორებთან ერთად).

ბატონმა გურამ ქაშაკაშვილმა 2008 წელს თავის კოლეგებთან ერთად დააფუძნა საქართველოს ენობრივ-საინფორმაციო ფონდი (**სესფი**), რომლის მეცნიერი თავკაცი თავადვე გახლავთ (წევრები კი ცნობილი მეცნიერები არიან: **არჩილ ფრანგიშვილი** - საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, სტუ-ს რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **ზურაბ წვერაძე** - სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დეკანი, **თემურ ჯაგოდნიშვილი** - სტუ-ს სრული პროფესორი, ფოლკლორისტი, **ვალერი ასათიანი** - კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი, პროფესორი, ყოფილი საქართველოს კულტურის მინისტრი, **ლევან ღვინჯილია** - საქართველოს პარლამენტთან არსებული ყოფილი „ქართული ენის პალატის“ თავმჯდომარე, კავკასიოლოგი), **ბადრი ცხადაძე** - სტუ-ს პროფესორი, ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, ფონდის მეცნიერულ და მეთოდურ-ტექნოლოგიურ წარმართვაში კოლეგიალურ კონსულტაციას უწევს უკრაინის ენობრივ-საინფორმაციო ფონდის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **ვოლოდომირ შიროკოვი**.

ამ კუთხით ბატონი გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული ძიება და ღვაწლიც სათანადოდ დაფასდა და აღინიშნა უკრაინულ ენაზე გამოქვეყნებულ ენციკლოპედიურ გამოცემაში „უკრაინა და უკრაინელები“ [6].

ბატონი გურამი დიდი სამეურნეო ნიჭითაც დაჯილდოებული პიროვნებაა. მას, როგორც გულღია ქართველს, უყვარს ზომიერად მოლხენა (სათანადო დონეზე), თამაობა, სტუმრის გამასპინძლება, სახლ-კარის თანამედროვე მოთხოვნილებებისამებრ კეთილმოწყობა. ნამდვილად არაა ადვილი, წელიწადის ერთი ნახევარი თბილისისა და სხვა ქალაქებში დაჰყო, მეორე ნახევარი თბილისიდან ბაღდათში სიარულს და იქ ყოფნას მოანდომო. ბავშვობა-ყმაწვილკაცობაში სწორედ სოფელში გლეხურ ცხოვრებასთან ზიარებამ გამოავლინა მასში მეურნისა და შემდგომ პრაქტიკოსი მეტალურგის ნიჭი. მარაში და ჭურისათვით ფუსფუსი ზომ მისი უსაყვარლესი საქმეა. მის მიერ ტექნოლოგიურად ქარხნული წესით დაყენებ-

ული ღვინო (20%-20%-20% ციკლა+ცოლიკაური+კრახუნა) საქვეყნოდ განთქმულ სამარკო სვირულ ღვინოს („**სვირი**“) არათუ ჩამოუვარდება, პირიქით, შეიძლება ბევრად აღემატებოდეს კიდევ.

ბატონ გურამს ქართული ქვევრისა და ჭურის თანამედროვე ტექნოლოგიურ გამართვაშიც მიუძღვის წვლილი. ეს ასე მოხდა: ერთხელ მას თავისი ჭურიდან ამოღებული ღვინო და მისი გემო არ მოეწონა. მიზეზიც დაადგინა - თურმე მიწაში გადინარე (გრუნტიან) წყალს თიხაში გაეჟონა. დაუცხრომელი ენერგიით სავსე ბატონმა გურამმა პრობლემის გადასაჭრელად ანუ „ჭურის დასაკირად“ (იმერეთში „**ჭურის დაკირვა**“ ჰქვია გარეშეშო მავთულბადეში მოქცეული ქვევრ-ჭურის კირ-ცემენტთან ხსნარით გაღვსვას) ადგილობრივი თვითნასწავლი სპეციალისტები რომ ვერ ნახა, უცხოელ მეცნიერებს მიმართა (ჯერ რუსეთში, შემდგომ იტალიაში).

ასე მიაგნო მან იტალიაში იტალიურ მოსაპირკეთებელ მასალა **ეპოვენს**. ეს ნოუჰაუ შესანიშნავი გამოდგა ამ პრობლემის გადასაწყვეტად (აქამდე მამაპაპური კირნარევი სილით ქართული ჭურების გარეთა გარსის შეღვსვა, შიგნით კი თაფლის სანთლით ჭურის შიგა ამოსანთლული ზედაპირის ნაცვლად). ბატონი გურამის ახსნით, ეპოვენის უპირატესობა ისაა, რომ მისი გამოყენებით:

1. აღიკვეთება გრუნტის წყლებით ჭურში ჩასხმული ღვინის დაბინძურება ან ღვინის გაჟონვა-დანაკარგი;
2. შენარჩუნდება საღვინე უნიკალური ყურძნის ჯიშების გამორჩეული არომატი, გემო, სურნელება და ფერი (ამიტომ არასასურველი და უკუსაგდებია მისი გამდიდრება თაფლის სანთლის ან მუხის კასრების არომატით);
3. ეპოვენი და მასტერსილა თავიანთი კომპონენტებით უგემო, უსუნო, ფერით მდგრადი ნეიტრალური პროდუქტია. ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების მიერ სერტიფიცირებული ბეტონის რეზერვუარებში ღვინის დიდხანს შესანად;
4. ეპოვენი არ არის აბსოლუტურად გაუმტარი მასალა, როგორც შუშა და მინის ჭურჭელი. მისი ფორიანობა 2,5-2,7%-ის ფარგლებშია, რაც საჭიროა ღვინის დიდხანს შესანად;
5. ჭურის გარეცხვა უმძიმესი შრომაა სხვადასხვა სახეხი მასალებით. იტალიური მასალის გამოყენებით, ეპოვენით მოპირკეთებული ჭური წყლის ჭავლით ადვილად ირეცხება;
6. წითელი ღვინის - საფერავის ჩანასხამ ჭურჭელში ძალიან დიდი რეცხვის შემდეგაც შეინიშნება თეთრი ღვინის შეფერადება - ვარდისფერიანობა. იტალიური მასალით დაფარული ჭურისათვის გამორიცხულია მსგავსი რამ;
7. ზემოაღნიშნული ტექნოლოგიით - იტალიური ინერტული მასალით ეპოვენით დაფარული ჭურის მდგრადობა განსაზღვრულია პირობით არანაკლებ 100 წლის, ე. ი. ის 20-ჯერ მეტად მდგრადია თაფლის სანთლით დაფარულთან შედარებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თაფლის სანთლით მოპირკეთებულ ჭურებს 30÷40 წლის შემდეგ ამოთხრა და ხელახლა გახურებით, თაფლის სანთლით შიგა ზედაპირის დაფარვა სჭირდება (აქ აგრეთვე იგულისხმება უმძიმესი შრომა ჭურის სხვადასხვა სახეხით (სარცხელი, სიმინდის ფუჩი და სხვ.) რეცხვისა, უპირატესობა ამ ახალი ტექნოლოგიის დანეგვისა განუზომელი ჩანს. რაც შეეხება თანხას, იტალიური მასალით დამუშავება გაცილებით იაფია ჩვენში გავრცელებულ კუსტარულ დაფარვასა და ახალი შუშის ჭურჭლის შეძენასთან შედარებით. ჭურის ერთი ფუთის ტევადობის ზედაპირის მოპირკეთება 2-3 ლარს არ აღმატება;

8. მასტერსილათი და ეპოვენიტ დაფარული ჭურების ხმარების ვადა სტატტიკურად იზრდება, რადგან დაფარული ზედაპირი ისეთი სისაღისაა, რომ ყველაზე ბასრი მასალა ზუმფარის ქალაღლიც კი ვერ კაწრავს ეპოვენის ზედაპირს.

9. ქვევრებსა და ჭურებს არაივიათად დიდი ხის ფესვებიც აზიანებს. ეპოვენიტ დაფარული ჭურის სიმტკიცე კი ასეთ შემთხვევას თითქმის გამორიცხავს.

10. გაბზარული ქვევრების 100% აღდგენის ტექნოლოგიაც შემუშვებულია.

ბატონი გურამის საბოლოო რჩევითა და დასკვნით, იტალიელთა მასალებით და დაფარვის წესიდან გამომდინარე:

ა) ქართული ქვევრისა და მისგან გამომდინარე, მსოფლიო მასშტაბით ღვინის ზარისხის ასამაღლებლად ეპოვენი უთუოდ დაგვეხმარება. მისი აზრით, ეპოვენიტ ყველა იმ მექანიზმებისა და აგრეგატების დაფარვაა საჭირო, რომლებიც დამზადებულია სხვადასხვა ლითონისაგან (მაგალითად, ყურძნის საჭყლეტი მანქანა, საწნეხი ანუ „საქაჯავი“ და სხვ.);

ბ) ჩვეულებრივი ჭურის ზედაპირი ათასგვარი სოკოვანი დაავადებებისაგან არაა დაცული. ეპოვენიტ დაფარული ზედაპირის სოკოვით დაავადება გამორიცხულია მისი სისაღის, სარკისებური პრიალისა და, რაც მთავარია, ქიმიურად ნეიტრალუბის გამო.

ჭეშმარიტი მეცნიერული ალლო და ძიება პრობლემის გად-აწყვეტასა და დასაზულ მიზანთან უთუოდ მიგვიყვანს. ამის სანიმუშო მაგალითი თავად ბატონი გურამ ქაშაკაშვილია.

ბატონი გურამისათვის არც საპარლამენტო მუშაობაა უცხო. მისმა მენეჯერულმა და დიპლომატიურმა ნიჭმა პარლამენტარობის დროსაც გაიბრწყინა. საქართველოს პარლამენტში მუშაობისას ენგურჰესის ამოქმედებასთან დაკავშირებით სწორედ მისი უშუალო მონაწილეობითა და მოლაპარაკებით მოხდა კონტაქტის დამყარება და სასურველი შედეგის მიღწევა აფხაზურ (რუსულ) მხარესთან. მეოცე საუკუნის მიწურულს, მაშინ, საქართველოს რუსეთთან და აფხაზურ მხარეებთან პოლიტიკური გამწვავების დროს, ამ წარმატებითი ნაბიჯის გადადგმა და მიზნის განხორციელება ძალიან ძნელი საქმე იყო.

ბატონი გურამი ქველმოქმედიცაა - არაერთი საერო თუ საეკლესიო სამშენებლო-საინჟინრო, საზოგადოებრივი საქმის წამომწყები - მოთავე, ქომაგი, დამხმარე, მეოხი, მშველელი, მოძმე, მეგობარი, კოლეგა, მეცენატი... მას არაერთი ამჟამად ცნობილი სახალხო არტისტისათვის გაუკვალავს გზა (ლადო ათანელი და სხვ.). იგი, როგორც წინაპარ ქაშაკაშვილთან კვალმადიებელი, ნიშუშს იძლევა იმისას, რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ეპოქაში ადამიანმა ყოველთვის შეიძლება აკეთოს „ქმნულკეთილი“ საქმე. 7-8 საუკუნის წინანდელი ქართველი ისტორიკოსი **ბასილი ეზოსმოდღარი** თამარ მეფის მიერ ქვეყნის აღმშენებლობისა და მართვის დახასიათებისას თითქოს ბატონ გურამს და მისნაირ მამულიშვილებს გულისხმობდეს, როცა წერს:

„და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფონი გარეშეშო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განადიდ-რნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდენილნი სამეფოდვე თესად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამის მოწამე არს სახლი მარგანშეთი, და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაკთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს და

მტერთაგან უზრუნველობასა“ [73,55. 1-6].

ბატონი გურამის გვერდით მართლაც ძიებით, ენთუზიაზმით ადვსილ, ენერგიამოზღვავებულ, საკვლევაძიებოდ წელ-გამართულ, მიზანმიმართულ „მკვლევარ-მეფე-ვაზირე-ბად“ ვგრძნობთ თავს - ამის მოწამეა ყველა, ვინც მასთან, მის გვერდით ვართ, ვურთიერთობთ უნივერსიტეტში თუ მის ფარგლებს გარეთ, წამიერი, მოულოდნელი თუ საქმიანი შეხვედრით, თანამშრობლობით ან მისეული „ტკბილ-თბილი“ მეგობრული, საქმიანი და იმავდროულად წიკპურტიანი შენიშვნით: „**აცდენთ ახლა ამას**“, „**მაცდენთ ახლა მე**“...

ბატონ გურამს საურთიერთობოდ და სამეგობროდ დიდი „საგურამო“ ჰყავს. ისინი სპეციალობით სხვადასხვა დარგისანი, სხვადასხვა ასაკისანი და სხვადასხვა ეროვნებისანი არიან. „საგურამო სიერცეც“ და მისი სამყაროც შთამბეჭდავია: ყოფილი საბჭოთა კავშირის (რუსეთი, უკრაინა...), ევროპის (პოლონეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია...), აშშ, კანადა, აზიის ქვეყნების (ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია...) კოლეგა-მეცნიერები.

ამ სამეგობროს კიდევ უფრო მეცნიერულ-აკადემიურ და საქმიან გაშლა-განვრცობას - მსოფლიო აღიარებას ვუსურვებთ მას ჯილდოების, ეროვნული თუ უცხოური პრემიების, პატენტების, აღმოჩენებისა და გამოგონებების სახით. დაე, ბატონი გურამისნაირი „საჯილდოო ქვები“ და მეტალურგები, სახელმწიფო მოღვაწეები, პროფესორები და აკადემიკოსები, სამშენებლო და საქველმოქმედო საქმიანობები ახალდადებულ ქართულ სახელმწიფოს არ მოჰკლებოდეს.

თვით ბატონ გურამს კი, კიდევ ერთხელ, ტანმრთელ, ხანგრძელ, მარადიულობასთან ნაზიარებ კიდევ უფრო უხვ მოსავლიან ოქროს შემოდგომას ვუსურვებთ თავის დიდ და სანაქებო ოჯახთან (ძვირფას მეუღლესთან - ქალბატონ **ლელიასთან** და მრავალრიცხოვან მონაგართან - შვილებთან და შვილიშვილებთან, რძალ-სიძეებთან...) ერთად.

ლიტერატურა:

1. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია. 1. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი. თბ., 1961;
2. ჯ. რუხაძე, ხანი იმერეთის ხეცსურეთია (ნარკვევები), თბ., 1989;
3. მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი ორ ტომად (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული), პროფ. გ. ქაშაკაშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2011;
4. ბ. ცხადაძე, ხალიბების ნაკვალევს არ ეღალატების. ჟ.ურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №2, 2012;
5. გ. ქაშაკაშვილი, ვ. შიროკოვი, ბ. ცხადაძე, მეტალურგიული ტერმინების ექვსენოვანი ლექსიკონი. მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში II International Symposium in Lexicography, baTumi, 2012
6. Кашакашвили Гурам Венедиктович – голова мовно-інформаційного фонду Грузії: Україна й українці – цвіт нації, гордість країни. Перше видання. Київ, 2008 (на укр. яз.);
7. ბასილი ეზოსმოდღარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარი-სი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კასაძემ (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით) თბ., 1944.